ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
92

№ 49
მარტის 2, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 49
მარტის 2, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

საზოგადო კრება

სამარხი კასისა

ქართულ თეატრის დარბაზში, **მარტის** 9 **რიცხვს, კვირას დილის** 11 საათზედ, დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის** წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და **დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო** და **ერთის გამგეობის** წევრისა და **მათი ნაცვლებისა.**

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—б—8)

ჟირარდის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოების

საწყობში

ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.

მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლანდიისა, აბრეშუმისა და შალის საბნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჭები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.

Crèpe de santè და ნაქვისა

კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(17—10) **დონერ—ლეიფცი.**

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (12—б.—5)

№ 40. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

კვირას, 2 მარტს

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კოტე ყიფიანის მონაწილეობით

და-ძმა

ისტ. დრამა 5 მოქ. მეგრელების ცხოვრებიდგან. მეოთხე მოქმ. ქართულ ხმებს იგალობებს ქართული ხორო.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი: ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი, ხუციშვილი და სხ.

აგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დგან 8 მ.-მდე, პარტერი 50 კ.-დგან 2 მ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დგან 1 მ.-მდე, გალერეია 20—35 კ.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მურად-ფაშა“ „ოტელო“, „ქეთევან წამებული“, „მედია“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ხუთშაბათს, 6 მარტს, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია **კავკასიის განყოფილების საიმპერატორო რუსულ საგეოგრაფიო საზოგადოების** წევრთა კრება, რომელიც მოისმენს თვისის ნამდვილის წევრის სამთო ინჟინერის მ. ა. შოსტაკის მოხსენებას სვანეთსა და რაჭაში მოგზაურობის შესახებ. გარეშეთ შეუძლიანთ კრებას დაესწრნონ. შესვლა უფასოა.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

მოვიწოდებთ ადგილობრივ ჭიდაობის მოყვარულთ, რომელთაც ვთხოვთ—ცირკის კანტორაში განაცხადონ ჭიდაობის სურვილი. მოჭიდავეებს მიეცემათ ჯილდო (პრემია).

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 5 მარტს 1903 წ.

ქართულ-სომხურ დასის არტისტების: ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძის, ე. ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ქ. ანდრონიკაშვილის, ბარ. მელიქოვისა და ბბ. ვ. აბაშიძის, გ. მესხის, არუთინიანის გ. ანანიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I

გემრიელი ლუკმა

კომ. 3 მოქმ. დ. ერისთავისა.

II

თაგვის ბრალია

III

ცოლ-ქმრობის წინაამდეგი

კომ. 1 მოქ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ მოწაფეებისთვის 50 კაპ. და ქანდარაზე დაკლებულ ფასით.

დასაწყისი 8 საათზედ

წარმოდგენის გამგე მ. აჯიმამუდოვი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმედღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარხუჯაშვილი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—ილოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. აველისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობიჟ და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუაეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაჟინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისი

◆ დღეს ქართულ თეატრში ქართულ თეატრის არტისტების ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება ხუთ მოქმედებიანი დრამა, ჩვენის ცხოვრებიდგან, „და-ძმა“ ბ-ნ გუნიასი; წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი თეატრის მხცოვანი არტისტი, ბ-ნი კ. დ. ყიფიანი; ერთს არა სასურველ ამბავს მოვკარით ყური, რომელიც არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ; ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადუწყვეტია, თეატრი მიაქირაოს ქართულ წარმოდგენებისათვის სხვა პირებსაც; არ ვიცი-კი რამდენათ სამართლიანია ეს გარდაწყვეტილება, მხოლოდ ვგონებთ კი, რომ ჩვენს ისეც გულ-გრილ საზოგადოებას, რომელსაც თვეში ერთხელ ძლივს მოუხერხებია თეატრში წასვლა, დაჰყოფს ორ ბანაკათ და ერთსაც ჩამორჩება, მეორესაც მოაკლებს თავის თანაგრძნობას: საზოგადოთ-კი გვგონია, დრამატიულმა საზოგადოებამ ხელი არ უნდა შეუწყოს რამდენიმე დასის აღორძინებას და უფრო-კი სცენის მოყვარეთა წირმოდგენების მეთაურობას, რადგანაც მრავალ შემთხვევაში მათი მოღვაწეობა არა თუ ხელოვნების განვითარებას ემსახურება, არამედ დაქვეითებას; რავდენადაც გვახსოვს, დრამატიულ საზოგადოებას განზრახვა ქონდა სახალხო თეატრში წარმოდგენების მოწყობაცკი ხელში ჩაეგდო და მით ხალხის გონივრულად და ზნეობრივად აღზრდა სწორე გზით წარემართნა; ამისთანა განზრახვას, არ შეიძლება, კაცმა არ თანაუგრძნოს; ხოლო ამ შემთხვევაშიკი ვერ გაგვიგია, არტისტთა ამხანაგობას, რომელმაც მთელი დიდმარხვის განმავლობაში, ხუთშაბათობით და კვირაობით, წარმოდგენების მართვა განიზრახა, რად მოაკლო თავის თანაგრძნობა და სამაგიეროდ მეორე დასის აღმოცენებას ხელი შეუწყო; ვუსურვებთ რომ ეს ყურ-მოკრული ამბავი მართალი არ გამოდგეს.

◆ რადგანაც ქალაქის მიწის მზომელთა მოხელეთ საქმე იმოდენი აქვთ, რომ ვერ ასწრობენ სამუშაოს დროზედ აღსრულებას, ამიტომ გამგეობას განუზრახავს მომავალ წელში დაიქირაოს კიდევ ერთი მიწის მზომლის თანაშემწე და ამის დასაკმაყოფილებლად ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია 900 მანეთი.

◆ ქალაქის გამგეობას დაუვალებია ქალაქის უფროს მიწის მზომლისათვის, შეადგინოს ნაძალადევის ადგილების პლანი და წარუდგინოს გამგეობას არა უგვიანეს 15 მარტისა.

◆ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით მნაცაკანოვის ხიდის იჯარით აღების მსურველი არვინ გამოჩნდა, თუმცა პირველად დანიშნულ ამ ხიდის საჯარო ვაჭრობაზედ შეაძლიეს ათასი მანეთი; ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა, თვით ქალაქის გამგეობამ იკისროს ხიდის ყურის გდება.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის თავს და სთხოვა, რაც შეიძლება მალე შეატყობინოს, რა შედეგა მოჰყვა ქალაქის საქმეთა საბჭოს დადგენილებას ქალაქის სკოლათა კომიტეტის გაუქმების შასახებ.

◆ გუშინწინ მოხდა შეერთებული კრება გამგეობისა და ქალაქის სკოლათა აღმასრულებელ კომისიის წევრებისა; კრებაზედ აღიძრა კითხვა ქალაქის საქმეთა საბჭოს დადგენილებისა, ქალაქის სკოლათა კომიტეტის გაუქმების განსაჩივრების შესახებ. კრებამ, განიხილ-რა ეს კითხვა, ამორჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა შეჰკრიფოს ყველა საბუთები და შეადგინოს სენატში წარსადგენათ განსაჩივრების ქაღალდი; კომისიაში ამორჩეული იქმნენ ბ.ბ. ალიხანოვი, მელიქბეგლიაროვი, დოლუხანოვი და საბჭოს მდივანი ს. თ. ქრელაშვილი; თავმჯდომარეობა კომისიისა აკისრეს ბ. ალიხანოვს.

◆ გუშინწინ მოხდა კრება კუკიისა და ავლაბრის საძოვარ ადგილების მეთვალყურე კომისიის წევრებისა; კრებაზედ მოწვეული იყო ქალაქის იურისკონსულტი, რომელმაც განაცხადა, რომ ყოველი საბუთების ძალით, ამ ადგილების იჯარით გაცემაც და ყოველივე სარგებლობაც ეკუთნის ქალაქსაო და ამიტომ, თუ ავლაბრის მცხოვრებნი ვარს ამბობენ ამ ადგილების თავის დანებებაზედ, ქალაქს შეუძლიან პოლიციის დახმარებით ჩამოართვას ადგილები და ზარალზედაც უჩივლოს ქალაქმაო. ეს სასტიკი გარდაწყვეტილება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ზოგიერთა მოიჯარადრეთაგანი ამობენ, ვინც მოვა ამ ადგილებში, მოუკლავს არ გავუშვებთო; აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, მართლა თუ რა ძნელი იქნება მოიჯარადრეთაგან ხელიდგან ამისთანა ლუკმის გაშვება. მოიჯარადრეებს, ქალაქთან ხელშეკრულობის ძალით, ნება არა აქვთ თითო სულზედ შაურზედ მეტი აიღონ საძოვარში; ისინი-კი თითო სულზედ საქონლის პატრონ ახდევინებდნენ თითო მანეთს და მეტსაც; მოიჯარადრეებს ავლაბრის საძოვარი ადგილებ ოთხი ათას მანეთად ჰქონდათ აღებული, მხოლოდ ტფილისის რომელიღაც რაზმი მოიჯარადრეებს, მხოლოდ ერთ კუნძულის სარგებლობისათვის, აძლევდა 3 ათას მანეთს; ძნელია, რასაკვირველია, რომ კაცს ამისთანა საცხოვრებელი წყარო დაეშრიტოს.

◆ ჯერ კიდევ წარსულ შემოდგომაზე ვაუწყებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რო
სომხის სამღვდელოებას და ქალაქის შემამუ

ლეს,—ბ. სვიმონოვის შორის დიდი დავიდარაბა ასტყდა; საქმე ამაში მდგომარეობს: ბ. სვიმონოვს აქვს უძრავი მამული ვერაზედ, სომხის სასაფლაოს მახლობლად; რომ მამული უსარგებლოდ არ გდებულიყო, ბ. სვიმონოვმა განიზრახა ამ ადგილზედ გაემართა აგურხანები; სთქვა და კიდეც შეუდგა განზრახულის აღსრულებაში მოყვანას: ბ. სვიმონოვმა დაიწყო თხრა ადგილებისა, საჭირო საქმისთვის, სწორედ სომხების სასაფლაოების სამზღვართანაო. სომხების სასაფლაოების სამზრუნველომ ეს უხერხულად სცნო, რადგანაც ბევრ ადგილის მიწა მოზვავდა და სასაფლაოებიც ინგრეოდა; ამის გამოისობით სამზრუნველომ მიმართა ტფილისის გუბერნატორს და, ამცნო რა საქმის მდგომარეობა, სთხოვა რამე ზომები მიეღო, სვიმონოვის ადგილში მუშაობის შესაყენებლად. ამის გამოისობით, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, ტფილისის საგუბერნიო ამშენებელ განყოფილებამ დანიშნა კომისსია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საგუბერნიო მმართველობის ინჟინერები ბ. ანდროსოვი და ბარტი; ამავე კომისსიაში მოწვეულნი არიან ქალაქის ტეხნიკოსები, რომლის თანადასწრებით კომისსიამ დღეს უნდა დაათვალიეროს ზემო-აღნიშნული ადგილები და მიიღოს ზომები მოდავეთა შორის დაკიდარაბის მოსასპობათ.

◆ რედაქციამ მიიღო პატარა წიგნი: „სოლომონ გმირი“ (პოემა). გამოცემა მეორე. ქ. ტფილისი. წიგნაკი შეიცავს 7 ფურცელს და ღირს 5 (?) კაპიკად.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. პარასკევს, 28 წარსულ თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთ ბჭობა ჰქონდათ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის მოხსენების „ამიერ კავკასიაში მიწის სივიწროვის“ შესახებ. კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი კრომ-გირეი, დაიწყო საღამოს 8½ საათზე. სანამ მოხსენების განხილვას შეუდგებოდნენ, საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა წაიკითხა წარსული კრების ოქმი, რომელიც საზოგადოებამ უცვლელად დაამტკიცა. შემდეგ ამისა, საზოგადოების თავმჯდომარემ მოკლედ განუმარტა დამსწრეთ შინაარსი იმ სამი წინადადებისა, რომელთა შესახებ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი თავის მოხსენებაში ურჩევდა საზოგადოებას, შუამდგომლობა აღეძრა სათანადო მთავრობის წინაშე. ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილმა, თანხმად საზოგადოების ზოგიერთ წევრების თხოვნისა, მოკლედ განმარტა უმთავრესი საფუძველნი თავისი მოხსენებისა. ბ-ნ ა. სააკოვმა აღნიშნა, რომ რეფერენტის წინადადებანი,—ამიერ კავკასიაში დაწესებულ იქმნას საგლეხო სათავად-მამულო ბანკის განყოფილება, გლეხებს მიეზომოს სახელმწიფო თავისუფალი ადგილები და მოსახლეობის პირველ გამოსაწყობად გლეხებს დახმარება აღმოუჩინონ,—ფრიად სიმპატიური და მასთან სასარგებლო წინადადებანია, რომლის წინააღმდეგ, გგონებ, აქ დამსწრეთაგანი არავინ სიტყვას არ დასძრავს. რეფერენტის მიერ ყველა მოყვანილი ციფრები ამიერ კავკასიასა და ევროპის რუსეთში მიწის რაოდენობის შესახებ მეტად საგულისხმიეროა. ხოლო ეს ციფრები კიდევ რომ სხვა ცნობებით იყოს განმარტებული, რეფერენტს რომ კიდევ ამიერ კავკასიის ცხოვრების სხვა ვითარებისათვის მიექცია მეტი ყურადღება, მოხსენებაში მოყვანილ ციფრებს უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემოდა, ამიერ კავკასიის გლეხ-კაცობა უფრო წელში მოხრილი, უფრო ნივთიერად შევიწროებული გამოდგებოდა. ამიერ კავკასიაში გლეხობა მეურნეობის ექსტენსიურ კულტურას ვერ გასცილებია, დღესაც ამიერ კავკასიის გლეხი ისე ამუშავებს მიწას, როგორც წინად პრიმიტიულის წესით, მეურნეობის განვითარების ნიშნები ჯერ-ჯერობით არა სჩანს. ამიერ კავკასიის გლეხს წელიწადში, ორთა შუა გამოანგარიშებით, 40 მანეთი აქვს წლიურად შემოსავალი, ხოლო ამავე დროს აუცილებელი სახელმწიფო ან სხვა სარჯები ამდენივე, ასე რომ წარმოუდგენელია, გლეხმა ოდნავაც გააუმჯობესოს მეურნეობის წარმოება, შეუძლებელია გლეხმა ინტენსიურ მეურნეობას მოჰკიდოს ხელი, ეს გარემოება მეტად დიდ მნიშვნელოვანია და ერთი ორად ამძიმებს გლეხის ნივთიერად შევიწროებულ მდგომარეობას.

გარდა ამისა, საჭირო იყო რეფერენტს ყურადღება მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ ამიერ კავკასიაში მიწის საკუთრების და მფლობელობის უფლებანი არაა ჯერჯერობით გამორკვეულნი, დიდი უთანხმოება და დავა სწარმოებს ამ ნიადაგზე; ამის გამო გლეხი არაა დარწმუნებული, რომ ხვალ, ზეგ ამა თუ იმ ნაჭერ მიწას მას სხვა არ წაართმევს. ასეთი საქმის ვითარება მეტად აფერხებს მეურნეობის ნაყოფიერად წარმართვას. ამასთანავე, ორატორის აზრით, საქმის კეთილად მოწყობას აფერხებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ გლეხის მამული ერთს ფარგალში არაა მოქცეული, გლეხის მამული ათასნაირად დაქუცმაცებულია სხვა მესაკუთრეთა მამულებით. ბოლოს ბ-ნმა საკოვმა დასძინა, რომ სახელმწიფო საიჯარო მამულები გლეხებს უფრო გრძელის ვადით ეძლეოდეთ, სანამ ამ ჟამად ეძლევათო. ვადის ხანგრძლივობა მეურნეობის წარმატების საქმეს მეტად ხელს შეუწყობსო. გლეხი თუ დარწმუნებულია, რომ მამული კარგა ხანს დარჩება მის მფლობელობის ქვეშ, იგი იმის გამო უფრო კარგად და გულმოდგინედ შეიმუშავებს, ეცდება უფრო თვალსაჩინო კულტურა აწარმოვოს საიჯარო ადგილზედ. ბ-ნნი დონდუკოვმა, ევანგულოვმა და სხვა ზოგიერთ ორატორებმა ერთი და იგივე აზრი გამოსთქვეს, რომ კარგი იქნებოდა, რეფერენტს რაიმე ცნობები მოეყვანა გლეხის აწინდელ სამეურნეო ბიუჯეტის შესახებ, და ეს ცნობანი შიდა რუსეთის გუბერნიების გლეხთა სამეურნეო ბიუჯეტისათვის შეეფარდებინა. ეს ცნობანი, ორატორების აზრით, უფრო თვალსაჩინოდ გახდიდნენ ამიერ კავკასიაში მიწის სივიწროვის საქმეს, ეს ცნობანი უფრო ნათლად დაარწმუნებდა უმაღლეს მთავრობას პეტერბურგში, რომ ამიერ კავკასია სრულებით არ ჩაითვლება რუსეთის იმპერიაში ისეთ არკადიად, სადაც შესაძლოა ჰმართო განუწყვეტლივ ახალშენები და ჰგზავნო შიდა გუბერნიებიდან გლეხობა, ახალი მოსახლეობის მოსაშენებლად. ვასილ მაჩაბელმა შენიშნა, რომ რეფერენტს სპეციალური საგანი ჰქონდა გამოსაკვლევად და, როგორც მოხსენებაში მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, კიდევაც ღირსეულად შეუსრულებიაო. ამიტომ, მოხსენება უნდა მივიღოთ და ბ-ნ რეფერენტს მადლობა გამოვუცხადოთო.

საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა შენიშნა, რომ ყველა ის საგნები, რომლის შესახებ ოპონენტები უსაყვედურებენ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს, გარკვეულია სპეციალურ მოხსენებებში და ყველა ეს მოხსენებანი უკვე განხილულია საზოგადოების მიერ. ამნაირად, ყველა დასახელებულ მოხსენებებში მოყვანილი მოსაზრებანი მიღებულ იქნება მხედველობაში მთავრობის მიერ. ბ-ნ ი. ქუთათელაძემ განმარტა, რომ მიწის სივიწროვე არა თუ გლეხთათვის საგრძნობელია, არამედ თავად-აზნაურობისათვისაცო.

ქუთაისის გუბერნიაში 25%-ია უმიწა-წყლო თავად-აზნაური. ამიტომ საჭიროა ამ უკანასკნელებსაც მიეზომოს სახელმწიფო მამულები.

ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილმა საბუთიანად განუმარტა საზოგადოებას, რომ ოპონენტების მიერ აღნიშნული შენიშვნები საყურადღებონი არიან, ხოლო ჩვენ, თუ ამასდა მიუხედავად, არა მოვიხსენიეთ-რა მოხსენებაში, ამის თავი და თავი მიზეზი ის გახლავთ, რომ სარწმუნო სტატისტიკური ცნობანი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. თეორეტიული მოსაზრებანი-კი უციფრებოდ არავისათვის სარწმუნო არა ყოფილა და, ვგონებთ, არც არასოდეს არ იქმნებაო.

კრებამ, ამ განმარტების შემდეგ, ერთხმად მიიღო ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის მოხსენება და ბ-ნი რეფერენტი ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვა.

რამდენიმე შენიშვნა

,,სომეხთა საქმის'' გამო.

1897 წელს პარიჟში გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში სომეხმა არშაგ ჩობანიანმა კონფერენცია გამართა სომხეთსა და სომხობის შესახებ. გააცნო თვის რიცხვ-მრავალ მსმენელთ სომხეთის გეოგრაფია, მისის ისტორიის არა თუ ის მთავარი ხანა არამედ მოკლედ ლიტერატურაც. შემდეგ, ამ სომეხთა ცნობილმა მოღვაწემ ის აზრი წარმოსთქვა, რომ სომხეთი ევროპიელთა თანაგრძნობის ღირსია, არა მარტო თავის უბედურობით, არამედ იმითი, რომ სომხობა ერთად-ერთი ერია ევროპასა და აზიას შუა, რომელიც,თვისის ისტორიულის მსვლელობით, მოწოდებულია შეიქმნას ევროპიელ ცივილიზაციის მოწინავე რაზმად აზიაში.

ჟურნალ „მოგზაურში“ ჩვენი ცნობილი მწერალი ინგილო ჯანაშვილი იუწყება, რომ დაბა ვართაშენში (ნუხის მაზრაა), რომელიც როგორც ვიცით, უძველეს დროიდამ საქართველოს კუთხე იყო და სადაც ჩვენს დროში სომხობაა შესეული, იქაურ ქართველობაში—უდიბში, სომხის მღვდლებს ძველ ქართულ ეკლესიის კედლიდამ ქვა გამოუღიათ, ქართულ ზედ-წარწერით, და მის ნაცვლად სხვა გაუკეთებიათ, სომხურ წარწერით, ახლა ყველას არწმუნებენ, რომ ეს ეკლესია და თვით ვართაშენიც იმ თავითვე სომხეთის კუთხეაო.

ამ ორს ამბავს,—ვართაშენელ ტერტერებისა და ჩობანიანის საჯარო ლექციის შესახებ, როგორც მკითხველიც ჰხედავს, არაფერი აზრიანი კავშირი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ერთშიც და მეორეშიაც სომხობაზეა ლაპარაკი. ჩვენ ეს ორი ამბავი აქ განგებ ამოვუყენეთ ერთი-მეორეს. ეჭვი არაა, რომ ვართაშენელ ტერტერების ოინები გულს ატკენს მკითხველს. იქნება ცოტადააშფოთოს კიდეც, ჩვენი წაუშლიათ და თავისი წაუწერიათო; ჩობანიანის სიტყვებს-კი სომეხთა ერის ისტორიულ მოწოდების შესახებ დიდის სიწყნარით მოისმენს, თუმცა გულის-წყრომა და მწარე ფიქრები სწორედ აქაა საჭირო. ამგვარ საქმეებში იმდენად შეუჩვეველნი ვართ, რომ მკითხველი უცებ ვერც-კი მიხვდება, რაშია აქ საქმე და გაკვირვებული იკითხავს: ჩვენ რა უნდა გვენაღვლებოდეს, სომხობამ პირველობა რომ დაიჩემოს ევროპის წინაშე აზიის წინა მხარეშიო? ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის იმის წარმოდგენა, თუ სადა სცემს ასეთი სიტყვა სომეხ ერის მოწოდების თაობაზედ, როგორ იგულისხმებს ამას აწინდელი ევროპა. ამ შემთხვევაში ფრთოდ რომ შეგვეძლოს სჯა, ადვილად შევნიშნავდით, რომ ვართაშენში ქართული ზედ-წარწერაა წაშლილი, ჩობანიანის კონფერენციაზე-კი—მთელი ისტორია ქართველთა ერისა...

ასეთი საჯარო ლექცია სომხეთსა და სომხობაზე ამ უკანასკნელ დროს მრავლად ჰსმენია ევროპიელთა საზოგადოებას და ბევრიც უკითხავს იქაურ ჟურნალ-გაზეთობაში. „სომეხთ საქმის“ პროპაგანდას ახლა ორი სპეციალური პერიოდული ორგანოც ემსახურება, საფრანგეთში დაარსებულ სომხების მიერ მათისავე ფულით (Armenie და Pro Armenia); ამას წინად სახელოვანმა კრიტიკოსმა გეორგ ბრანდესმა ბერლინში საჯარო ლექცია წაიკითხა სომხეთის შესახებ და განიმეორა სწორედ ის, რაც ჩობანიანმა წარმოსთქვა თვის კონფერენციაზე სომეხთა ერის ისტორიულს მოწოდებაზე. ბერლინში ამ გაზაფხულზე სომხური გამოფენაც გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება სომხეთის მრავალ-ფეროვანი ეტნოგრაფია, ისტორია, არქეოლოგიური ნაშთები, ხელობა და ხელოვნება,—ყველა მატერიალური და სულიერი ნაწარმოები სომეხთა ერისა; მასთან ერთად ლექციებიც იქნება წაკითხული სომხეთზე.

ასეთი მხნე და საქმის ხალხია ის მცირე რიცხვი სომხობისა, რომელიც საზღვარ-გარედ მოღვაწეობს. მათის მეოხებითაა, რომ შარშან ბრიუსელში კონგრესიც-კი გაიმართა სომხეთის სასარგებლოდ, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ევროპიელ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა. ახლა, თითქმის მთელის ევროპის საზოგადოება და მრავალი სახელოვანი მოღვაწე და გავლენიანი კაცი სომხების გულშემატკივარი და თანამგრძნობელია.

მართალია, სომხების წინააღმდეგი ხმაც გაისმის ზოგჯერ აქა-იქ *); ზოგი ეჭვის თვალით უყურებს მათს აგიტაციას ევროპაში; სომხობას ოსმალეთის წურბელას უწოდებს; მაგრამ ამისთანა ხმა ძლიერ იშვიათია და თითქმის შეუმჩნეველი იმ საერთო თანაგრძნობასთან, რომლითაც გამსჭვალულია დიდი უმრავლესობა საზოგადოებისა.

სომხებისადმი თანაგრძნობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი დასავლეთ ევროპაში მაგრამ სომეხთ აგიტატორებისათვის გულ-შემატკივრობის აღძვრა და თანაგრძნობის მოპოვება მხოლოდ საქმის დაწყებაა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა „სომეხთა საქმე“, როგორც ახალი პოლიტიკური ფერმენტი აღმოსავლეთის საქმეში და ეს წადილი თითქმის უსრულდებათ. ასე უყურებს ახლა ამ საგანს ევროპის საზოგადოება, მისი წარმომადგენლები და ასე შეხედავს თავის დროზე ევროპიელთა დიპლომატიაც. განა მეტია ევროპისათვის, იცოდეს, ვინაა პირველი და საიმედო ერი იმ გზაზე, რომელიც მიდის რუსეთიდამ მცირე აზიასა და სპარსეთში? სომხები ამას მიხვდნენ, ალღო აიღეს და აი, ახლა თითქმის ყველა დაარწმუნეს, რომ ასეთი ერი, რომელსაც მკვიდრი და საიმედო პოლიტიკური ცხოვრება შეუძლიან, სომხეთიაო; თუ სომხობას არავინ არ შეეცილა, „სომეხთ საქმეს“ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირება აღმოსავლეთ საქმის ლიკვიდაციაში, რომელიც თავის დროს მოელის, იქნება ახლო მომავალშიც.

ერთხელ საფრანგეთში, ერთს დიდ პროვინციალურ ქალაქში, ვიღაც ახალგაზდა სომეხი საჯაროდ კითხულობდა გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში სომხეთის გეოგრაფიის შესახებ ლექციას; კრებას დაესწრო რამდენიმე ქართველი სტუდენტიც; საღამოს ჩემთან შეგროვდნენ, ახლად მისულთან; მეტად საინტერესო იყო ეს საღამო: ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ იმ თავხედობით, რომელიც ამ სომეხს გამოეჩინა კითხვის დროს; საქართველოს ორი პროვინციალური ქალაქი, ორიოდე დაბა და რამდენიმე სოფელი სომხეთის ნაწილად გამოეცხადებინა სწავლულ ფრანგების წინაშე, საქართველო რამდენსამე ქვეყანად დაეყო: ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, სვანეთად და სხვ. და თითოეულს ქვეყნის მცხოვრებნი ყველა ეს peuplades-ებად გამოეყვანა, პატარა ნაყარ-ნუყარ ერებად. ბევრის სჯისა და ლაპარაკის შემდეგ გარდასწყვიტეს წერილი გაეგზავნათ სიმართლის აღსადგენად ერთ-ერთ გაზეთში; მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან არც-ერთმა მათგანმა ფრანგული ენა ხეირიანად არ იცოდა, თუმცა სამი კაცი 3—4 წლის მისული იყო იქ; გარდა იმისა, არც ის იცოდნენ, თუ როგორ შეედგინათ წერილი, ისე რომ საბუთიანი გამოსულიყო!

რამდენისამე წლის შემდეგ, ორი გეოგრაფიული რუკა შემხვდა, სომხების მიერ გამოცემული საზღვარ-გარედ; რუკა წარმოადგენდა „დიდ სომხეთს“, რომელშიაც მთელი საქართველო მოჰყვა, რაღაც peuplades-ებით დასახლებულ სოფლად; სომხეთის დედა-ქალაქად ტფილისი იყო ნაჩვენები.

ვიყვნეთ თუ არა გულ ხელ დაკრეფილნი ამ გვარ ამბების გაგონებაზე? საჭიროა, თუ

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

II

იმ დღეს ალალბედზე შევხვდი თავადს რევაზ ალმაფრენაძეს; სწორედ ატოცის გლახასავით შემოსცვეთოდა ტანისამოსი, სახე ჩამოღლარჭოდა, თვალები ჩაჰფერფლიყო, ადრინდელი რევაზის აჩრდილიც აღარ იყო, იმ რევაზისა, რომელსაც ოდესღაც ქარი უქროდა, ფულებს სიმინდის ფუჩეჩივით აბნევდა, გალაქულაქებულის სახით დარიხინებდა ქალაქის ქუჩებზე და მისი შავი თვალების ბრიალი ელეთ-მელეთს ჰგვრიდა ტფილისელ ბანოვანთა და განსაკუთრებით მდიდარი სომხების ქალთა, „კნეინობის“ მეძიებელთა.

— თავადო რევაზ, ვეღარ გიცან, რა ნაირ დაბერებულხართ, გამოცვლილხართ? ჩავეკითხე მე.

— ნუ, ნუ მკითხავ!.. დრო გამოიცვალა, მეც გამომცვალა; კისერში მაგრა ჩამიკაკუნა და ჰხედავ, უწინდელის რევაზის აჩრდილად გამხადა. დრო ვერ დააჩაბუნებს მხოლოდ ჭკუით მავალ კაცსა, ჩემისთანეებს-კი ბურთივით აქეთ-იქით ისვრის. ვერ ვისარგებლე დროთი: ფულიც მქონდა, მამულიც ზღვა-აუარებელი, გვარიშვილობა ხომ, რაღა გითხრა—ალმაფრენაძის გვარი ოდესმე შიშსა ჰგვრიდა მამულის მტერთა, ეხლა-კი ალმაფრენაძის მაგივრად რევაზ ადარაფრისმქონაძედ გარდავიქმენი; მოხდა ეს იმიტომ, რომ აი, აქ,—დაიკრა შუბლზე თითი,—აი, სწორედ აქ უნაფქოვოდ გახლდი, დაუნდობელმა დრომ კისერი მომიგრიხა და აი, ეხლა „სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია“; დავიარები დაჩაჩულიავებული, დაბეჩავებული და შევთხოვ ღმერთსა, მალე მიმიწოდოს იმ სოფლად. დაიხსომე, ჩემო მეგობარო, რომ ამ ჟამად ფულია გამეფებული, ფული! და მას გვერდში ამოსდგომია ყუმბარა და ხიშტი, ე. ი ძალა უკუღმართი, დაუნდობელი. აი, ამ ორს რამეს პირი დაუღია მშიერ გველ-ვეშაპივით და ჰყლაპავენ ჩემისთანა დოყლაპიებსა.

— ცხოვრებას და ჟამთა ვითარებას, ჩემო რევაზ, ძალიან დაუუძლურებიხარ სულითა. მართალია, ბრძოლა არსებობისათვის ამ ჟამად გამეფებულია, მართალია ფულით სჩაგრავს მდიდარი ღარიბსა, მართალია ყუმბარა იმორჩილებს ერებსა, მაგრამ ეს სულ დროებითია, წარმავალია, იგივე დრო თუ ერთ ხანად ერთ ძალას გაამეფებს, მეორე ხანად სხვა ძალას გაამეფებს ხოლმე, ძალას ჭკუისას, ზნეობისას, სამართლიანობისას. ლომი ხომ ლომია, მაგრამ მასაც პაწაწკინტელა მწერი—კოღო სულის მშვიდობას დაურღვევს და ისე ცაუხდის საქმესა, რომ მოთეთქვილი, ძალა გამოლეული მის წინ დაემხობა ხოლმე.

— ჰმ, ეგეც შესაძლებელია! დიაღ, შესაძლებელია, მაგრამ მე კოღოს უნარიც აღარ მაქვს, მითხრა მწარის ღიმილით რევაზმა და გამშორდა.

—

უნდა მოგახსენოთ, რომ რევაზის სიტყვები ძალიან საგულისხმიეროა. ჩვენს დროში გამეფებულია ფული, რომელიც ჩაყლაპვას უპირებს ჩვენისთანა დოყლაპიებსა. დიდი ხანია სთქვა კარაპეტამ, თუ მიკირტუმ გასპარიჩმა, გიორგი ერისთავის პირითა, რომ „ფულმა აცხონა სულმა“-ო.

აი ეს ფულის გამეფება მაგონებს ერთს ზღაპარს: ერთხელ თურმე გარდაიცვალა ამ სოფლად ერთი ვიღაც ღარიბ-ღატაკი, სოფელში მუჭა-მუჭად მოაგროვეს ფქვილი და ყოველივე სხვა სანოვაგე; ქელეხი გაუმართა იმ ღარიბს სოფელმა და საფლავის კარამდე მიიტანა საკაცით ცარიელ სუდარაში გამოხვეული. მოძღვარმაც ძალიან უგულოდ და ეჭვით აუგო ანდერძი. როგორც ჩაუშვეს საფლავში საბრალო ღატაკი და ჯერ ორი ნიჩაბი მიწაც არ მიეყარათ, რომ—პუპლუც!—წამოჯდა საფლავში მიცვალებული და წამოიძახა:

— ეჰ, ღარიბს არსად არ გაუხარიან! არ მიშვებენ საიქიოს, აი კარებში სდგას ვიღაც ცეცხლ-მოკიდებული გძელი მათრახით, ფულსა მთხოვს, რომ საიქიოს დავბინავდე. საიქიოს შიმშილ-წყურვილმა დამარჩო, საიქიოსაც არ მიშვებენ უფულოდ, რომ პატარა მოვისვენოვო. გამიშვით, დამტოვეთ ასე საფლავში, იქნება მგლებმა მაინც შემჭამონ და მოვრჩე ამ ტანჯვასაო.

დიაღ, ამ ჟამად ყველა, პოეტის თქმისა არ იყოს, „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ ღორძინდება და აშენებს ფულის ციხე-კოშკებსა, და ვაი მას, ვინც მოუმზადებელი შეხვდება ამ დაუნდობელს გველ ვეშაპსა.

ფული და მისგან შეძენილი ძალა მის პატრონს არ ასვენებს, არაფერს არ უშინდება, არაფერს არ უდრკის, გარბის წინ უკან მოუხედავად, გარბის, მიჰღრიალებს მშიერი ლომივით და კოღოს ნესტრისა არ ეკრძალვის.

—

დიაღ, უცნაურია კაცის ბუნება კერძოდ და თვით უძლეველის სახელმწიფოსი საზოგადოდ. ვერაფრით ვერ გაძღება, ის სვავია, სანსლავს ყოველიფერს და მონელებაზედ არა ფიქრობს. მშვენივრად დაასურათა ჩვენმა დიდებულმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა ეს სვაობა ადამიანისა:

„ვინ არის იგი, ვისთვის
გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს, ერთხელ
ნატვრით, ისი ეკმაროს?
თვითონ მეფენიც უძლეველნი,
რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლიად არღა არის
სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ,
და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“,
და აღიძვრიან
იმავ მიწისთვინ, რაც დღეს,
თუ ხვალ თვითვე არიან!“

რა სიმართლეა?რა წინასწარმეტყველებაა??.

აი ბატონებო, შორს ნუ წავალთ, მოვიყვან ერთს მაგალითს ადამიანის სვაობისას:

არის სადღაც სამხრეთ ამერიკაში ერთი პაწაწკინტელა რესპუბლიკა და სახელი მისი ვენესუელა. დღემდის ვენესუელას სახელი რომელიმე შეგირდმა თუ იცოდა გეოგრაფიიდამ, თორემ ვის გაუგონია, ან რა სახსენებელი იყო. დღეს-კი ქვეყნიერებას ამ რესპუბლიკამ ყურები გამოუჭედა. ეს დალოცვილი ვენესუელა ბედის წერას აუტანია, თავის ქერქში ვეღარ დატეულა და ევროპისთვის ჩაუგდია თავი ხელში. ამ ვეშაპმაც ისეთი ამბავი დააყენა შენს ვენესუელას, რომ სულ გაჩენის დღე აწყევლინა: დააღო პირი და მის გადაყლაპვას ჰლამოდა, და არ იტყვით რად? ვენესუელას დასჭირვებია ფულები რკინის გზის გასაყვანად და უსესხია ერთის ბერლინელ საზოგადოებისაგან ოცი მილიონი მანეთი 1896 წელში, ამ წელში მიუცია სარგებელი, ხოლო მომავალის წლის პირობა ვეღარ შეუსრულებია. როგორ თუ პირობა დაურღვიე ბერლინელ საზოგადოებასაო, აბორგდა მეფე გერმანეთისა, ლომსავით გამიბედა ვიღაც კოღომ ამისთანა ბიაბრუობაო და აფრინა თვისი სამხედრო ხომალდები ვენესუელისკენ. აბა, რასაკვირველია, მეორე ლომმა, რომელიც ყოველთვის გემრიელ ლუკმას თავისკენ იწევს ხოლმე, ინგილ-გველმაც დააღო ხახა. „ბიჭოს, ეს რა ამბავია, ჩვენ რაღა უკანონო შვილები ვართ, არც ჩვენ გვატკენს მუცელს ვენესუელის საქმეებში ჩარევაო“. მაგრამ რაკი პირდაპირი საბუთი არა ჰქონდა ინგილ-გველსა საქმეში ჩარევისა, მოიგონა: მართლა ჩვენც ხომ გვაქვს იქ რკინის გზა, რომლითაც ხანდისხან სარგებლობს რესპუბლიკაო; მეორეც ესა, კუნძულს პატოსს რომ არ გვითმობს ბატონი ვენესუელა, ეს რა საქნელიაო. და აი ამ მეორე ლომმაც აფრინა თვისი გემები სამხრეთ აფრიკისკენ. ეს არ აკმარა ბედმა პაწაწა რესპუბლიკას: მესამე ლომმაც, თუმცა ერთობ ბებერმა, მაგრამ მაინც-კი ლომმა, იტალიამაც დააჰჭინა კბილები: ვაი, დედის ჩემის ღმერთსა! ჩემი მეგობრები წავიდნენ საბრძოლველად და მე რაღა ყური დამიგდიაო! მეც ავაგლეჯ ერთს გემრიელ ლუკმასო. შემოეხვია ზარბაზნებით ეს სამი ლომი პატარა და შხამიანს კოღოს, დაუწყეს სროლა, ნგრევა ქალაქებსა, სვრა ხალხსა. თქვენ ნუ მომიკვდეთ, იზზულვა კოღომაც, ხან ერთს ჩაუძვრა ყურში, ხან მეორეს, ხან მესამეს.

---

*) მაგალითად მოვიყვანთ წიგნს L'Armenie et les armenophiles—par le vieux de la montagne. ამ წიგნის შინაარს და აგრეთვე ჩობანიანის კონფერენციისას, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა (Armenie, sou histoire, sa littèrature, son rôle en Orient), ,,ივერიის'' მკითხველი შემდეგ გაიცნობს. ავტ.

არა, ჩვენთვის, და იქნება ევროპიისაათვისაც, სიმართლის აღდგენა? თუ საჭიროა როგორ დავიწყოთ ეს საქმე? ან იქნება ყველა ეს, რაც სიამხობაზეა აქ ნათქვამი, გაზვიადებულია, განგებ მოგონილი? სთქვას ეს ვინმემ და ჩვენ ურიცხვ ფაქტებით პირს დაუცრობთ.

ა. კვერ—ძე.

(დასასრული იქნება)

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა კრება

(შემდეგი *)

თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. 1888 წელსა 8 სოფლის საზოგადოებას უმაღლეს მთავრობისთვის თხოვნა მიეცათ, რომელშიაც გამოეთქვათ თავისი გასაჭირი უგზოობისაგან და თხოულობდნენ კახეთის რკინის გზის გაყვანას თიანეთზედ. ამაზედ მაზრის უფროსს შეჰკითხებოდნენ და პასუხად მიეღოთ: „თუშები ჯერ ველური ხალხია, ამათ რკინის გზისა არა იციან რა და არც საჭიროა მათთვის რკინის გზაო. ამის შემდეგ კიდევ ბევრნი გამოჩნდნენ ამ მიმართულებას წინააღმდეგნი. ახლა, მართალია, ამ მიმართულების მომხრენიც უმრავლდებიან, მაგრამ მტერს მაინც არა სძინავს. ამ შემოდგომაზედ ლამარკი რომ იყო კახეთში, იმის დაბრუნებას მოჰყვა გაზეთ „ივერიაში" მოწინავე სტატია, რომელშიაც კახელებს აფრთხილებდნენ, არიქა ხაფანგს გიგებენ, თავს უშველეთო. დიდი ხანი არ არის, რაც ამავე გზის წინააღმდეგ გამოსთქვეს აზრი ზოგიერთმა ინჟინრებმა, ამათში ერთი სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ ამტკიცებდა, სიმბერგს არავითარი გამოკვლევა არ მოუხდენია ამ მიმართულების გზისა, მერე-კი გაზეთებში ნათქვამზე უარს ამბობდა, მე ეგ არ მითქვამსო. მე ამით იმის თქმა მინდა რომ, ამ მიმართულების საქმე თითქო ცუდ ვარსკვლავზედ იყოს დაბადებული; ვინც არა მგონია, ამ გზას ელობება წინა. იმედი მაქვს, მე ამ გზის მტრების რიცხვში არ ჩამთვლით, თუ ახლავე წინადადების სავსებით მიღებაზედ უარი განვაცხადო.

მე რომ შეძლება მქონდეს, ყოვლის უარის უთქმელად მარტო მე ავიღებდი სულ მთლად აქციებსა. მაგრამ რაკი საქმე იმასა თხოულობს, რომ სააქციონერო თანხის შესადგენად მრავალმა მემამულემ უნდა მიიღოს მონაწილეობა აქციების გასაღებაში, საჭიროა, ყველა ბლანკები ისე იყოს შედგენილი, ყველა პირობანი ისე იყოს ცხად-ყოფილნი, რომ ეჭვიც არავის ებადებოდეს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ავარჩიოთ მცოდნე და ამასთან სანდო კაცებისაგან კომისია, რომელსაც მივანდოთ ეს წინადადება, ამასთანავე ეს რწმუნების წერილები და ბლანკები გაჩხრიკონ ყოველის უფლების მხრივ, თუ შესწორებას მოითხოვს რომელიმე, აღნიშნონ. ამას გარდა შეგვატყობინონ, რავდენად სასარგებლოა დამფუძნებელთა და კონცესიონერებთა დამოკიდებულება უკანასკნელთათვის. როცა ჩვენგან არჩეულნი, ყოველ მხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ, გვეტყვიან, საშიში არც არის-რაო, ჩვენც ხელს მოვაწერთ და მრავალნი მოგყვებიან.

თავ. ალ. ნ. ჭავჭავაძე. რაც სიფრთხილეზედ ბრძანა თავადმა ნ. ჩოლოყაშვილმა, ის არ ითქმის საზოგადოდ ყველა აქ წაკითხულზედ. ფულის მიღება მარტო ახლად დასაგირავებელ მამულზედ არის მოხსენებული. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი მამული კახეთისა დაგირავებულია და თუნდა ყოფილა, თუნდა არა ის ბლანკი, რომელიც ახლად დასაგირავებელ მამულს შეეხება. ესეც რომ არ იყოს, რწმუნების ქაღალდი შეუძლიან მემამულეს ისეთ კაცს მისცეს, რომელსაც ენდობა.

თავმჯდომარე. რა უფლებანი ექმნებათ დამფუძნებელთ თავ. ნ. ჭავჭავაძეს და ბ-ნს სიმბერგს, ან რა დამოკიდებულება იქმნება იმათსა და აქციონერების შორის?

თავ. ალ. ნ. ჭავჭავაძე. კანონით დამფუძნებლებს ერგებათ უწყებული ⁰/₀, რაც შეიძლება მიიღონ აქციებით. თავ. ნ. ჭავჭავაძე უარს ამობს თავის უფლებაზედ, სთმობს საკომისიოს აქციონერების სასარგებლოდ, ხოლო ბ-ნი სიმბერგი-კი თავისას მოითხოვს.

თავმჯდომარე. გთხოვთ ყველამა სთქვათ, ვისაც რა მიგაჩნიათ საეჭვოდ, ან საშიშრად. მე-კი უნდა მოგახსენოთ კახელ მემამულე-აქციონერებზედ, რომ მათი მნიშვნელობა გზის მართვა-გამგეობაში მეტად მცირე უნდა იყოს. წარმოვიდგინოთ, რომ ბ-ნმა მანთაშოვმა იყიდა ერთი მილიონის აქციები, ამასთან შედარებით, რა უფლება ექმნებათ მემამულე-აქციონერებს? მე ვგონებ, ამისთანა აქციონერებისაგან მეტად შეზღუდული იქმნება მემამულე-აქციონერების მონაწილეობა გზის მართვა-გამგეობაში.

ბ-ნი მ. ა. ვერმიშევი. ნება მიბოძეთ, ზოგიერთი რამ ვკითხო თავ. ალ. ჭავჭავაძეს: რავდენი აქცია იძლევა ხმასა? რას გულისხმობენ, როცა ამბობენ, შეიძლება გზის ხაზი შემოკლდესო? რომელ ბანკზეა ნათქვამი, რომ თანახმაა დამატებითის ვალის მიცემაზედაო? რას ჰნიშნავს 8—9 კაპ. ფრახტი? ამაში ჩართულია თუ არა სადგურების ხარჯი?

თავ. ალ. ჭავჭავაძე. რაც შეეხება აქციების რაოდენობას ხმის უფლებისათვის, ამაზედ უმაღლესად დამტკიცებულ წესდებაში დაწვრილებით არის ყველაფერი. გზის შემოკლებაზედ ის ითქმის, რომ შესაძლებლად მიაჩნიათ 20-დამ 30 ვერსამდე მოაკლდეს სიგრძე გზასა. დამატებითის სესხის გაცემაზედ თანახმაა ტფილისის განყოფილება სახელმწიფო საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკისა. 8—9 კაპ. ფრახტის ანგარიშში არ არის ჩართული სადგურების ხარჯი..

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. თუ ვისმე უნდა კახეთის გზის გაყვანა, მე ყველაზედ მეტად მინდა; თუ ვისმე უნდა, რომ გზა გაყვანილი იყოს ხვალ, მე მინდა, რომ დღესვე იყოს გაყვანილი. ამიტომ ჩემ შესახებ რაიმე ეჭვის შემოტანა სულ ტყუილი იქნება და ტყუილზედაც მეტი,—სწორედ ცილის წამება იქმნება მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ კომისია უეჭველად საჭიროა, დიდი დრო არ დასჭირდება ამ საქმესა. ბევრი ბევრი ერთი თვე მოუნდეს. ეს ვითომ და დაკარგული ერთი თვე უფრო აჩქარებს საქმის მსვლელობა-წარმოებას.

თ-დი ს. რ. გახვახიშვილი. თ-დ ჩოლოყაშვილის წინადადებას, შესახებ კომისიისა, მნიშვნელობა აქვს საქმე რომ წესდების განხილვაზედ იყოს მიმდგარი. რაც შეეხება დამფუძნებელთა წინადადებას, აქ კომისია სრულებით საჭირო არ არის: რწმუნების წერილებს, როგორც მინდა, ისე დავწერ, ვისაც მინდა, საქმეს იმას მივანდობ. ყველა ეს ჩემი ნებაა და, როგორც მირჩევნია, ისე მოვიქცევი.

კამათი რკინის გზაზედ ამით გათავდა. კრებამ მიიღო წინადადება საყურადღებოდ და სთხოვა წინამძღოლს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნოს თ-დ ნ. ჭავჭავაძეს, მის უანგარო შრომისათვის.

ჩვენებური ამბები

იანეთი (ქუთ. მაზრა). აქეთ ამ 10 თებერვლიდგან კარგი ბრწყინვალე ამინდებია, ცოტათი ზენაქარი ქრის, მაგრამ წასრულ თვეების თოვლს და კოკის პირულ წვიმებს ნუ გაგვახსენებთ, ისე მოგვაძულა თავი!

ერთ გლეხ კოხრეიძეს ორასი ფუთი სიმინდი დაეწვა, სასიმინდე შენობით და ოთხასი კონა ჩალა.

ეწრელი.

—

ახალქალაქი (გორის მაზრა). სოფელ ახალქალაქში ადგილობრივ მკვიდრთ, თ-დ ვასილ ალექსანდრეს ძის თარხან-მოურავის შვილის რჩევით და მეცადინეობით, შეუდგენიათ განაჩენი, რომ ხსენებულ სოფელში დაარსებულ იქმნას სამ კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. საქმის მოთავეს უკვე მიუმართავს ადგილობრივ სამოსწავლო დირექციის წარმომადგენლისათვის, რომელიც დიდის თანაგრძნობით მოპყრობია ახალქალაქელების კეთილს განზრახვას და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას დაჰპირებია ამ საქმის კეთილად განხორციელებისათვის. ვუსურვებთ თ-დ ვასილ თარხან-მოურავიშვილს, კეთილად დაეგვირგვინებინოს ასე კეთილად დაწყებული საქმე, ადგილობრივ მკვიდრთა შვილების საბედნიეროდ და სასარგებლოდ.

—

ხევი. ფრიად სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ დღეს დღიობით მოხევეთა ცხოვრებაში. მოხევეები ამ ბოლო დროს ძლიერ დაეწაფნენ სწავლას. თუ ათის წლის წინად მოხევეები ცდილობდნენ, როგორმე სკოლა აეცდინათ თავიდამ, დღეს პირიქით აღარას ზოგავენ, რომ თავიანთ შვილებს ასწავლონ რამე. აი, ამისი მაგალითებიც: მდგომარე სამოსწავლო წლამდე ხევში იყო ორი სკოლა—სტეფანწმინდაში და სნოში. წელს კიდევ მოემატა ორი სკოლა სიონსა და ყანოებში. ამათ მიბაძეს ოსებმაც და გაიხსნა ახლად სკოლები—კობსა, თრუსოს და ღუდს, სტეფანწმინდას და სნოს. სკოლები გადაკეთდა ორ-კლასიანად. ასე რომ დუშეთის მაზრის მეოთხე ოლქის საბლაღოჩინოში, სადაც 950 კომლი ქართველი და 550 ოსია, ამ ჟამად ექვსი ერთ კლასიანი სკოლაა და ორი ორ-კლასიანი. თუმცა ყველა სკოლებში მთავრობა იძლევა შემწეობას, მაგრამ მოხევეები თავიანთ საკუთრებიდგანაც აძლევენ მასწავლებლებს ჯამაგირს და სასკოლე შენობებს-კი საკუთარი საშუალებით აშენებენ. როგორ გასახარელი არ არის ეგეთი მოვლენა!

აქ თუმცა დიდი თოვლი არ ყოფილა წელს, მაგრამ ძლიერი სიცივე იყო შუა თებერვლამდე, შუა თებერვლიდგან-კი დათბა.

ა. გ.

უცხოეთი

ინგლისი. გაზ. „Dail. Exp."-ის სიტყვით, მაკედონიის საქმეთა ერთ მეთაურთაგანს, პროფესორ მიხაილოვსკის, ლონდონში შეუდგენია მსურველთა რაზმი, რომელიც,—რევოლიუციის დაწყებისათანავე, გასწევს მაკედონიისაკენ მეამბოხეთა მისაშველებლად. თურმე მიხაილოვსკი ამ აზრით მივიდა ლონდონს და, ლონდონელ მაკედონიის აგენტის დახმარებით, უკვე შეჰკრიბა 100 კაცამდე.

სოფიიდამ-კი იუწყებიან,—მიხაილოვსკიმ ვერაფერი გაარიგაო. ლონდონში ჰგონებენ,—ასეთი ხმების გავრცელებით სოფიიდგან აპრილში აუცილებლად მოსალოდნელ რევოლიუციის დაფარვა ჰსურთო.

ბულგარია. მაკედონიის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ბორის სარაფოვს,—რომელიც ამ ჟამად მაკედონიაში იმყოფება,—გაუგზავნია მინისტრ-პრეზიდენტ დანევისათვის წერილი მაკედონელ ბულგართა აუტანელ მდგომარეობის შესახებ. „დროა-ო,—სწერს სარაფოვი,—ბულგარიის მთავრობამ გამოიჩინოს მამულიშვილობა და კაცთმოყვარეობა და ეხლა მაინც თანაუგრძნოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მაკედონელთ, თორემ მერე გვიან-ღა იქნება"-ო.

გაზ. „რილ. ბალკ."-ი ირწმუნება,—ბულგარ-ოსმალთა საზღვარს ოსმალეთი გაფაციცებით ამაგრებსო. მსაზღვრავ სოფ. ცარევოს მივიდა ოსმალთა ორი ბატალიონი, კოჩანს—ოთხი. საზღვარს ახლო ოსმალები ამზადებენ საფარ-სანგლებსა და სხვა სამხედრო სიმაგრეებს. ყოველი სასაზღვრო რაზმი შევსებულია ახლად მოსულის ჯარის-კაცთაგან. ოსმალი ჯარის-კაცები საცა-კი შეხვდებიან ხოლმე ბულგარებს ემუქრებიან,—მალე შეგებრძოლებით და თქვენ სეირს გაყურებინებთო.

ოსმალეთი. გაზ. „ახალი დღიური"-ს მაკედონელი კორესპონდენტი „მთიანჯუმაიდან" იწერება, თებერვლის პირველ რიცხვებში აქ, აღმოსავლეთ ხალხთა ჩვეულებისამებრ, კარდა-კარ დადიოდა იასაული და ყვირილით აცხადებდა: ქაიმაქამ-ბეგმა ინება და ბრძანა: ოთხშაბათს არავინ გაბედოს სახლიდან გარედ გამოსვლა, ან დუქნების გაღება და ბაზარში ხეტიალი, რადგან ამ დღეს მთავრობის ჯარი უნდა მოვიდესო. ამის შესახებ კორესპონდენტი შენიშნავს: „ამით თვით ოსმალეთი აღიარებს,—ჩემი ჯარების რომელსამე ქალაქს მისვლა ჰუნთა და სხვა ბარბაროსთა შესევას უდრისო. რა ვქნა, არ ძალმიძს ჯარების ალაგმვაო. დაინახამენ, თუ არა, მშვიდობიან მკვიდრთა, უეჭველად სისხლის წყურვილი აიტანთ და მძვინვარე მხეცებს დაედრებიანო.

თუ სახელმწიფოს შუაგულში ასე უდიერად იქცევიან, რაღა ითქმის სახელმწიფოს განაპირ და მივარდნილ ადგილების შესახებ, სადაც იგინი სრულიად თავისუფლად და დაუსჯელად მოქმედობენო.

შემდეგ კორესპონდენტს მოჰყავს მრავალი მაგალითი ოსმალთა ბარბაროსობისა, სოფელ დუბოჩიცაში ჩადენილი. „ვწერ წერილსაო,—ამბობს კორესპონდენტი,—და თანაც ცრემლად ვიღვრები მაკედონელთა საცოდაობით გულ-მოკლულიო".

— გაზ. „Berl. T."-ს სტამბოლიდგან ატყობინებენ დეპეშით ერთ წარჩინებულ ოსმალოს აზრს, რომელიც დიპლომატთა წრეს არ ეკუთვნის, მაგრამ დაახლოვებული-კია სასახლესთან.

„ხონთქარ აბდულ-ჰამიდს არა ჰსურს ომი. ჩვენს სამხედრო სამზადისსა და იარაღის ჩხარაჩხურს მხოლოდ ორი მიზანი აქვს: ჯერ ერთი ისა, რომ დაამშვიდოს ოსმალნი, რომელნიც მეტად აღელვებულნი არიან რეფორმის პროექტებითა და დიდ სახელმწიფოთა ჩვენს შინაურულ საქმეებში ჩარევით; მეორეც ისა,—აგრძნობიოს ევროპასა, და განსაკუთრებით ბალკანეთის სახელმწიფოებს, რომ ოსმალეთი არ ექვემდებარება მათს გავლენას და მზადაა იარაღით დაიცვას თავისი ხელშეუხლებლობა უცხოელთა მზრუნველობისა და მუქარისაგან. დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ხონთქარი განსაკუთრებულის ნდობით შეჰყურებს ამ ჟამად რუსეთსა და საფიქრებელიცაა, რომ ეს სახელმწიფო, ისე როგორც ავსტრია-უნგრეთი, მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში მიჰმართავს იარაღს, მაგ., თუ ბულგარიას მოუხდა შეტაკება ოსმალეთთან და ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, როგორშიაც საბერძნეთი საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დროს დომოსკთან ბრძოლის შემდეგ.

—

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). წინანდელი წერილით დასრულდა პარიჟის უნივერსიტეტის აღწერა,—მაგრამ, როგორც არა ერხელ მითქვამს, ჩემი წერილი ყოველთვის დაუსრულებელი იყო. ეხლა-კი ამ ნაკლის შესასრულებლად მსურს წარმოვსთქვა ორიოდე საზოგადო აზრი პარიჟის უნივერსიტეტის შესახებ.

პირველ ყოვლისა, პარიჟის უნივერსიტეტში თქვენს ყურადღებას იპყრობს ფართო თავისუფლება, რომელიც გამეფებულია ამ დაწესებულებაში. მისი კარები ყველასთვის ღიაა, ყველას შეუძლია იქ შევიდეს. იქ შეუძლია უსმინოს ლექციებს იმას, ვისაც ჰსურს დიპლომის მიღება, ვინც ეწერება სტუდენტად, ეს არის ოფიციალური პროგრამა უნივერსიტეტისა. აქვეა თავისუფალი კათედრა, სადაც შესაძლებელია საზოგადო ყოველ მხრივი განვითარება მიიღო, ეს არის არა ოფიციალური პროგრამა უნივერსიტეტისა. ამგვარად, უფლება მაქვს ვსთქვა, რომ სწავლების თავისუფლება ერთად ერთი თვალსაჩინო თვისებაა პარიჟის უნივერსიტეტისა.

თავისუფლებასთან ერთად მეორე შესამჩნევი მხარე უნივერსიტეტისა არის განათლების დემოკრატიზაცია. ვისაც ჰსურს სწავლა და განათლების მიღება, შეუძლია თავისუფლად სწავლა პარი-

---

*) იხ. „ივერია", № 44.

— ვერ მოგართვით, ფული, ხახა მშრალს გაგისტუმრებთ იქიდამ, საიდამაც მობრძანებულხართო, დაჰბზულვა კოღომ.

ამ დროს ახალგაზდა ლომმაც—ჩრდილო-ამერიკამ პირი გააცმაცუნა; რუზველტმა ულვაშებ ქვეშ ჩაიცინა:

— „არა, რას მიჰქარავენ ეს ბებერი ლომები, მაგათ არ იციან, რომ ჩვენ, ამერიკელები, ვერ გავტეხთ მონროეს ანდერძსა: „ამერიკა ამერიკელებისათვისაო"; დაიცა ერთი პატარა ხანს დრო გაატარონ ზარბაზნების სროლითო, ვენესუელა თუმცა პატარაა, მაგრამ პატარა ხანს შეიმაგრებს თავსაო; სჯობიან, ცოტას ხანს სეირს ვუყუროთ, თვითონ მოჰმართამენ საშველადაო... მართლაც ვენესუელა ძალიან გაუჯიუტდა ამ სამს ლომსა: სულ ერთიან მოუსვა ყველა გერმანელს, ინგლისელს, იტალიელს, სადაც-კი მოიძებნებოდნენ, და ვირის აბანოში ამოაყოფინა თავი; თუ თავს არ დაანებებთ ბარბაროსობას, მეც ასე ვიბარბაროსებო.

ემწვავათ ლომებს კოღოს ნაკბენი; ჩამოყარეს ყურები. ამ სიმორეს გადმოვიხვეწენით და სირცხვილი არ არის უნადავლოდ წავიდეთო.

მიმართეს რუზველტს, შუა-კაცად ჩამოერიე ჩვენს საქმეში, ღმერთი ცოლ-შვილს გიდღეგრძელებსო.

რუზველტმა ულვაშ ქვეშ ჩაიცინა და თავისათვის სთქვა:

—არა, მე ჰკვიანები მეგონენ ეს ბებერი ევროპიელები, მაგრამ ცარიელი ტაკი-მასხარობის მეტი სხვა აღარა შერჩენიათ-რაო უნდა შუა-კაცად გამხადონ, ვითომ ჩრდილო-ამერიკა ამ საქმეში დაინტერესებული არ იყოს; რას მიქარავენ, „ამერიკა ამერიკისათვის", ეგენი ვინა ყრიან. არა, ბიძიებო, ეგ თქვენ შუა-კაცობას ვერ გაგიწევთ. თქვენი შუა-კაცი თქვენგანვე გამოგონილი ჰააგაა, მიბძანდით და იქ მორიგდითო.

რუზველტმა რომ ხელი ჰააგაზე მიუშვირა, ევროპის ლომებმა თითზე იკბინეს. რაღას იზამდნენ. ხრიკი ვერ გავუიდათ და დღეს კუდამოძუებულნი სხედან გაუმაძღარანი ლომები და უცდიან ჰააგის განაჩენს; კოღო-კი ნესტარს იღერებს.

—

ასეთი აურ-ზაურიანია დიდი კაცი, განა დიდი სახელმწიფო, თუ თვალი სწორე ვერ დაახამხამე, ან, ისე, შენი სახე არ მოეწონა, მაშინვე წყრომა, თოფ-ზარბაზანი და შენი ჯანი!!

საბრალო ჩვენი ქვეყანაც სწორედ ვენესუელის ბედისა იყო. მუნდებოდა ვიღაც ოხერ თითარს, მონგოლს, სარკინოზს ხმლის გასინჯვა, ან თოფის მიზანში ამოღება და გამოქანდებოდა საქართველოსაკენ. ესეც აბზუილდებოდა, ხშირად ქვეშ მოიგდებდა აღმოსავლეთის ლომებსა, თვისის ნესტრით შხამავდა მათ, მაგრამ ხშირად თვითონაც მოჰყვებოდა ხოლმე ქვეშ. სად იყო იმისთანა ქომაგი, რომელიც ვენესუელას გამოუჩნდა რუზველტის წყალობით.

თვითაც დაუძლურდნენ აღმოსავლეთის ლომები, ჩვენც ბოლო მოგვიღეს, დღეს ქართველნი ვმღერით: „შენც წახდი, მეც წამახდინე"-სა. ჩვენ ხომ ისე დავბეჩავდით, რომ ლამის ორიოდე ვირ-თაგვამ მთლად სამუდამო სამარე გაგვითხარონ...

—

ვირთაგვების საწინააღმდეგოდ სადა გვცალიან; დღეს ჩვენ ენის ქავილი დაგვმართნია: ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და ბოლო-კი არა აქვს ჩვენს ლაპარაკსა. მერე რაზე ვლაპარაკობთ? არაფერზედ და ამ არაფერზედ არის „რეჩების" ქუხილი, შუშხუნა სიტყვები და ვაი უშველებელი. „რეჩობანობს" ქალაქის ახალი საბჭო, „რეჩობანობს" ქუთაისის საბჭო! ჯერ ტფილისის საბჭოს თავს დავანებებ და ქუთაისისაზე ჩამოვაგდებ ლაპარაკსა. აი რა წერილი მივიღე ქუთაისიდგან:

„ბატონო „შურდულის" გამომცემელო! (არა, რა იყო, შე დალოცვილო, რედაქტორობით გეხსენებინე!) შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ერთი გულდადებით ჩამიკითხე ბოლომდე. იმ დღეს შემთხვევით შევედი ჩვენს საბჭოს კრებაზედ, მთელი ქუთაისის თვალ-მარგალიტი—ინტელიგენცია მთლად საბჭოს ხმოსნებათ გახლავან... ტფილისის საბჭო კი არ გეგონოთ, ვიღაც რაგინდა-რაებით რომ აამსეს.., ასე გასინჯეთ ყარა-კალისტრატეც-კი გახლავთ. . ეს ყარა მე გამოვიგონე, უფრო უხდება, თორემ ცარიელმა კალისტრატემ გააჭირვა საქმე... იცით ახლა, რაზედ იყო ლაპარაკი, არ მკითხავთ!.. ღმერთმანი, მრცხვენიან თქმისა! აი ისე ვატყობ, რომ პირს მწვამს, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა: ლაპარაკი გახლდათ იმაზე, კვირა-უქმე დღეებში ნოქრები გავანთავისუფლოთ ვაჭრობიდამ, თუ არაო. „დიდება შენთვის, ღმერთო"! დაიწყო მოსემ, „თქვე დალოცვილებო, თვით ღმერთმა ექვს დღეში გააჩინა ყოველი სამყარო, ცა და ქვეყანა, ხილული და უხილავი, შემდეგ გადმოხედა თვის ქმნილებასა და სთქვა: „ყოველივე კარგად გამიჩენიაო". ახლა კა ჟამი არის დასვენებისო, მეშვიდე დღეს მიეცა განსვენებას და სტკბებოდა თვისის ქმნილების ცქერა-მზერით. ამ მეშვიდე დღეს დაარქვა შაბათი, რომელი ითარგმანების ქართულსა ენასა ზედა: „დღე განსვენებისა". თქვე ოჯახ-დაქცეულებო, დაათავა ორატორმა, თვით სიბაოთ ღმერთისაგან არის ნაბძანები—მოსვენება შემდეგ მუშაობისა, თვით ღმერთმაც-კი დაისვენა მუშაობისაგან და ნოქრებს რას ვემართლებითო.

მოსეს კვერი დაუკრა ბ. ალექსანდრემ... (მე ძველებური კაცი ვარ და ამიტომ სახელებით ვიხსენებ ორატორებს და არა გვარობითა)... დიახ, დაუკრა მოსეს კვერი ალექსანდრემ და ისე მაგრა დაუკრა, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს, რომ მისი ღაღადი მეშვიდე ცამდე ადიოდა. ყველა დავშოშმინდით, ახლა-კი ეშველათ ნოქრებსაო. მაგრამ ხომ გაგიგონიათ ბიბლიური ანდაზა: „იუდა ჟამს ეძიებდაო"! აგერ წარმოსდგა ყარა—კალისტრატე. დიახ, წამოდგა, კისერი გაიჭიმა. შევხედე, უკან დიდი მელის კუდი აქვს მობმული, რომელიც ყარა—კალისტრატეს ტანის მიმორხევის დაგვარად ირხეოდა.

„ყმაწვილებო, არ შემიძლიან არ დავეთანხმო ორატორებს, ახჩობენ ნოქრებს თავიანთი „ხოზეინები"; თვით არიან დასახჩობები ეგ ღვთისა და კაცის წინააღმდეგნი... (აღელვება მარჯვნივ, „ხაზეინები" მჯიღებს უტურტურებენ, ყარა—კალისტრატემ კუდი გადუქნია და წაელაპარაკა: „დამაცათ, დამაცათ, ბოლოს თქვენკენ მოვიქნევ, თქვენ როგორ გიღალატებთ!); მაგრამ ზოგი მგლისკენა, ზოგი ცხვრისკენაო... ეგ ნოქრები კი რაღაცას მიჰქარავენ, რა არის, რომ ერთი ორი საათით თავი შეიწუხონო (კუდმა ქნევა დაუწყო „ხოზეინებს"). ისე გავაკეთოთ საქმე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფურიო... აქ ისე ახმაურდნენ ნოქრები, რომ ყურთა სმენა აღარ იყო, ამ დროს სარატორო კათედრაზედ ავიდა თვით ნაზაროვი (მგონი, თუ არა ვცდები, განსვენებული „შრომის" ნარედაქტორალი უნდა ბძანდებოდეს); ყველანი დაწყნარდნენ. ნეტავი ერთი რას მიედ-მოედებით, რა სალაპარაკოა, ნოქრები ერთი საათით მეტს იმუშავებენ, თუ ნაკლებსა, დავაარსოთ ნოქართა საზოგადოებაო. აი, ამაზედ რამდენიც გინდათ ვილაპარაკოთო. ღმერთო, ღმერთო! სულ ლაპარაკი და ლაპარაკი, როდისღა გვეღირსება საქმე!..

მაგრამ ზოგს შემდეგ მოგწერ, ეხლა მეტი ვერ მოვახერხე...

—

დიახ, ჩვენ ძალიან დავკნინდით; ლაპარაკში წაგვივიდა ძალა. ესეც-კი უნდა ვსთქვათ: უხიფათო საქმეა უაზრო ლაპარაკი: ხარჯს არავინ მოგთხოვს, პირს არავინ აგიკრავს, არახუნე რამდენიც გინდა მოშლილი წისქვილივითა. საქმის გაკეთება-კი ბევრს რამეს მოითხოვს, მას მსხვერპლი უნდა და მსხვერპლის შეწირვას-კი ჩვენ დიდიხანია გადავეჩვიენით: სამიკიტნოში ქისა გაშლილი გვაქვს და საქმისათვის-კი მოჭერილი; ერთი ბროშისათვის კაცს მოვკლავთ; ის-კი, ვინც სისხლს გვწოვს, მამულიდამ გვაცარიელებს, ხალხს წურბელად გადაჰქცევია, ამაყად დაპარპაშებს. კატამ თუ გადაჰქცევია, ამაყად დაპარპაშებს. კატამ თუ დაიკნავლა, დიდს ღვლერძს გადაუჭერთ, რა გულსაკლავად გაჰკნავისო; იქვე რო ვირ-თაგვები დანავარდობენ, გვამყრალებენ, გვპილწამენ, პირზედ ნათაგვარს გვასვამენ,—არაფერია... სწორედ რევაზ ადარაფრისმქონაძეები გავმხდარვართ, რაღა!!.. მახლას!?

თა. ერაძე.

ჯის უნივერსიტეტში, მას არც რამე დიპლომს სთხოვენ და არც სწავლების ქირას. ერთი სიტყვით, პარიჟის უნივერსიტეტს შინაური მოწყობილობა მეტის-მეტად ლიბერალური და დემოკრატიულია.

განათლების საქმეც კარგადაა დაყენებული. სხვა თავისუფალ მსმენელთა გარდა მარტო სტუდენტობა 12 ათასამდეა. მათ შორის 1500-მდე უცხოელებია, რომელნიც მოსულან მთელი ქვეყნიდგან: ოსმალი, ბერძენი, ნემეცი, რუსი, ამერიკელი, სომეხი, ჩინელი—ყველა ერთმანეთში არეული. ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა ენებზედ, მსჯელობენ სხვა-და-სხვა საგნებზედ. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს გარემოება დიდს სახელს უხვეჭს პარიჟის უნივერსიტეტს.

პროფესორებსა და მეცნიერებზედ ხომ რაღა ითქმის: ისინი ცნობილნი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზედაც. საკმარისია მოვიხსენიოთ მარტო რენანის სახელი, რომ ჩვენს ნათქვამში ყველა დარწმუნდეს.

მე ამას ვამბობ უნივერსიტეტის ქონებრივს მდგომარეობაზედ, რომლის ბიუჯეტი მილიონობით ითვლება.

უზარ-მაზარი, მშვენივრად მორთული შენობები სხვა-და-სხვა ფაკულტეტებისათვის. აი, რას წარმოადგენს სორბონი. მისი მარტო ამფითეატრი 3,000 კაცს იტევს და ასეთი ამფითეატრი შვიდი-რვაა აქ. ათამდე დიდი, უზარ-მაზარი. ამას მიუმატეთ ბიბლიოთეკის შენობები, სადაც 400 ათასი სხვა-და-სხვა წიგნია, ერთის სიტყვით, პარიჟის უნივერსიტეტი დუღს და გადმოდუღს. მაგრამ ამით მე ის-კი არ მინდა ვსთქვა, ვითომც სორბონი უნაკლულო, ყველაფრით სავსე იყოს. არის აქაც ნაკლულევანება, მაგრამ ერთი მოთხარით, სად არაა ნაკლულევანება; იმის თქმა მეტია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონდეს და აქვს პარიჟის უნივერსიტეტს.

აბსკურანტი უნდა იყოს კაცი, რომ პარიჟის უნივერსიტეტის მსოფლიო გავლენა უარჰყოს.

დიახ, სორბონის გავლენა მსოფლიოა. მოდიან სხვა-და-სხვა სახელმწიფოდგან, იძენენ კულტურას, სწავლობენ მეცნიერებას, ენას და ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში მეცნიერებით შეიარაღებულები.

ვ. ხუდადოვი.

P. S. ჩემს წინანდელ წერილებში მე არაფერი მითქვამს ქალების შესახებ პარიჟის უნივერსიტეტში. ახლა მინდა ეს ნაკლი შევავსო და აღვნიშნო, რომ პარიჟის უნივერსიტეტის კარები ღიაა ქალებისთვისაც, რომლებიც დიდის ენერგიით, მუყაითობით და მეცადინეობით შესდგომიან მეცნიერების შესწავლას და შეთვისებას. უმრავლესობა ქალებისა საექიმო ფაკულტეტზედ სწავლობს.

წელს, იანვარში, ერთმა პროფესორმა ანგარიში წაიკითხა უნივერსიტეტის შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: ქალებს უნივერსიტეტში ძლიერ კარგი გავლენა აქვთ, მაშასადამე, არ უნდა გვეშინოდეს ქალების უმაღლესი განათლებისა.

ვ. ხ.

ახალი ვაზის სანერგე.

(მევენახეთა საყურადღებოდ)

როდესაც შეუბრალებელმა ფილოქსერამ იმერეთის ვენახებს განადგურება დაუწყო, მხსნელად გამოგვიჩნდა ამერიკის ვაზი. (რიპარია და რუპესტრის), რომელზედაც ნამყობი ჩვენებური ვაზი, სამუდამოდ ფილოქსერას გადარჩენილია. შეიტყო თუ არა ეს ხალხმა, ბ-ნის სტაროსელსკის შემწეობით, შეისწავლა დამყნობა და გამართეს შორაპნის მაზრაში სანერგეები, საიდგანაც დღეს იყიდება ათი და ასი ათასობით ნამყენი.

მაგრამ ზოგიერთ მაზრებისათვის შორაპნის მაზრა დაშორებულია და ხალხმა თავის დროზედ ვერ შეიძინა ნამყენები, და აი აქაც მშველელად გაუჩნდა მუა-კაცი, რომელიც ჰყიდულობს სანერგეში ნამყენებს და „პროცენტით“ ჰყიდის ძალიან ხშირად ისეთს მასალას, რომელიც გამოუსადეგარია. ეს გარემოება ნამეტნავად საგრძნობელია მეურნეთათვის, რადგანაც ნიადაგის მომზადება სავენახედ დიდ ფულს თხოულობს.

ჩვენს მევენახეებს რომ დახმარება აღმოუჩინონ და მიაწოდონ კარგის თვისების ნამყენები ხელმისაწვდომ ფასად, ქუთაისთან ახლო, ჭოძვში, რამდენიმე პირმა შეადგინეს ამხანაგობა (მათ შორის ურევია სპეციალისტებიც) და გამართეს სანერგე, სადაც დღეს იყიდება რამდენიმე ათასი ნამყენი შემდეგის ჯიშებისა: ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, თავწითელა, რკო, დონდღლაბი, მწვანე, პინო თეთრი და კაბერნე. წუნილი იყიდება სამმაურად, ე. ი. იმ ფასად, რაც ამხანაგობას დაუჯდა.

დიდად სასურველია, ჩვენმა მევენახეებმა ისარგებლონ შემთხვევით და დროზედ შეიძინონ კარგი ნამყენები. სპეციალისტების შრომა, კარგი ძირები და საღად შეზრდილი ნამყენი თავდებია იმისა, რომ მასალა კარგი გამოდგება.

მსურველმა უნდა მიმართოს ჭოძვში ბ-ნ მეთოდე ჩიკვაიძის მამულში ბ-ნს ხიჭაკაძეს, ამხანაგობის მმართველს. ვინც იქ ვერ მიაგნებს, გამძღოლს იმოვის სამეურნეო სასწავლებელში (ფერმაში).

ნ. მკურნალი.

ნარკვევი

სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებმა თითქმის დაასრულეს თავის მოქმედება; მათი აზრი და დადგენილებანი გარდაეცა პეტერბურგში განსაკუთრებულს საბჭოს განსახილველად ამ გვარად.

„უფრო დღიურ საკითხად ამბობს Новое Дѣло—არის დაწყებული საქმის ბედ-იღბალი, თუ როგორ დაბოლოვდება და რა შემდეგი მოჰყვება მას. ჩქარა განიხილავენ თუ არა ამ ახალ მასალებს სოფლის დაცემის და დაქვეითების შესახებ,—აი საკითხი, რომლის გადაწყვეტას დიდის ამბით ელოდება ყველა, დიდი და პატარა.

პროვინციებში მთელი ერთი წლის განმავლობაში არჩევდნენ და იხილავდნენ სოფლის ეკონომიურად განადგურების მიზეზებს, მაგრამ აქაც ათას გვარი დაბრკოლება გადაეღობა წინ საქმის ღირსეულად მოწყობასა და მოწესრიგებას. მაგალითად, კომიტეტის წევრთ უსაყვედურებდნენ ისეთ საკითხების წამოყენებას, როგორც არის სოფლის უფლებრივი მდგომარეობა, ადგილობრივი მთავრობის ძალ-მორეობისა და თვითნებობის ალაგმვა, გლეხის ფიზიკურად დაუსჯელობა და მრ. სხ. კანონისა, სამართლისა და უფლების უზრუნველ ყოფა, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფალი მოქმედება; აი რა უწყობს ხელს ეკონომიურს წინ მსვლელობას. კარგა ხანია, ყველაფერი ეს მოხურ ჭეშმარიტებადაა ცნობილი. უფლებრივად შევიწროებულ გლეხმა რა თვით მოქმედება, რა უნარი უნდა გამოიჩინოს.

60 საგუბერნიო და 400-მდე სამაზრო კომიტეტმა წარადგინა სამინისტროში თავიანთი მოხსენებანი. საჭიროა, ყველა ეს მოხსენებანი განიხილონ და გაარჩიონ ხალხის ბედ-იღბალით დაინტერესებულმა კაცებმა, რომელთაც მართლაც შესტკივა გული სოფლის ასე გათახსირებასა და დაცემაზე. საჭიროა, მათ შეავსონ, თუ კომიტეტებს ვერ გამოუთქვამთ თავისი აზრი ნათლად და მკაფიოდ. საჭიროა ნაკლები „კანცელიარშჩინა“ და მეტი საქმიანობა. მაშ ვუყუროთ, როგორ წავა საქმე პეტერბურგში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 თებერვალი.

ბიისკი. 27 თებერვალს, 8 ს. შუადღისას, აქ იყო გაგრძელებული საკმაოდ ძლიერი რყევა ნიადაგისა და გაგრძელდა 1½ წამს აღმოსავლეთიდგან სამხრეთისაკენ.

პეტრო-ალექსანდროვსკი. პირველი გემი ამუდარიაზე ჩარჯუიდგან წავა პეტრო-ალექსანდროვსკას 1-ს მარტს.

სტამბოლი. გერმანიის მთავრობა თითქოს აპირობს აასრულოს პორტას სურვილი შესახებ გერმანელთა აფიცრების მოწვევისა მაკედონიის პოლიციაში სამსახურისთვის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფური ამტკიცებს, უმთავრეს მიზეზად სამის სალაშქრო კორპუსის მოწყობისა არის ინდოეთის დაცვაო.

პარიჟი. გაზეთები ქებით იხსენიებენ უმაღლესს მანიფესტს, რომელიც ახალი საბუთია ხელმწიფე იმპერატორის ზრუნვისა ხალხისათვის. „გოლუა“ ამბობს, მანიფესტი მეტად შესანიშნავი მოვლენაა რუსეთის სოციალურეკონომიურს განწყობილებაშიო; ნება-რთვა, რომ გლეხებს თავისუფლად შეუძლიანთ გამოეწერნენ თემობიდგან, არის ახალი ცვლილება. იგი თითქმის უდრის ახალს წესს-წყობილებას. „ფიგაროს“ თქმით, მანიფესტი არის პირდაპირი მოწონება პლევეს მიერ მიღებულ ზომებისა. „ეკლერ“ ამბობს, ხელმწიფე იმპერატორმა მოსპო-რა უკანასკნელი კვალი მონობისა, შეიქმნა განსაგრძობლად საქმისა უავგუსტოეს პაპისა, მეფე-განმთავისუფლებელისა.

ლონდონი. „Times“-ი ამბობს, მანიფესტს დიდი გავლენა ექნება რუსეთის ხალხის ცხოვრების კეთილად მოწყობის საქმეშიო. როგორც მანიფესტიდგან სჩანს, რუსეთის იმპერატორს კარგად ესმის საჭიროება იმ რეფორმათა, რომელთა შემოღებასაც აპირებსო. რეფორმები ახალს იდეას გაავრცელებს ხალხშიო.

ლონდონი. წინააღმდეგ ლისაბონიდგან ნაუწყებისა, „რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, რომ მეფეს არ გადაუწყვეტია საზღვარ-გარეთ წასვლა და სამზადისსაც არ შესდგომიაო.

სოფია. სარწმუნო წყაროებიდგან სჩანს, პაპრიკოვს თანამდებობისათვის თავი დაუნებებია. ამბობენ, მის მაგივრად დროებით დანევი არისო. სხვა ცვლილებანი კაბინეტის მართვა გამგეობაში არა მომხდარა რა.

1 მარტი.

პეტერბურგი. გამოვიდა მე 74 ტირაჟის მეორე შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთებისა. მოგება შეხვდა შემდეგ ბილეთებს: 200 ათასი მანეთის 11933/43, 75 ათასი 9096/3, 40 ათასი 15437/20 25 ათასი 12090/44 10 ათ. მ. 478/14, 7993/38, 94/13, 8 ათ. მ. 19724/22, 1411/42, 10881/31, 1930/23, 9516/11 5 ათ. 15592/33, 11373/50, 17281/18, 7726/9 17017/49, 10401/25, 3722/32, 17247/5, ათასი მანეთი: 9837/45 7620/43, 19680/31, 11977/3, 3495/38, 7570/4, 587/45, 10824/34, 18069/41, 10173/35, 13729/33.

პარიჟი. ფრანგული გაზეთები, განურჩევლად მიმართულებისა, აღნიშნავენ რა უმაღლესათ გამოცხადებულ მანიფესტს, ერთხმათ განმარტავენ, რომ ამ მანიფესტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რუსეთის ხალხისთვისო. „ფიგარო“ სწერს ეს მანიფესტი არამც თუ ცხადათ გვიჩვენებს ხელმწიფე იმპერატორის გრძნობას თავის მშვიდობიან ქვეშევრდომთა მიერ, არა მგონია სახელმძღვანელოთაც გაუხდება შინაგან მინისტრს მთელი წლის თავის მოქმედებაში. მანიფესტს ისე კი არ უნდა ვუცქიროთ ვითომ ეს იყვეს პირველი უკანასკნელი, არამედ რომ მას მოჰყვებიან სხვებიც. „Eclait“ ამბობს, რომ ამ მანიფესტში ღირსშესანიშნავი ის არის რომ მეფეს მტკიცედ განუზრახავს თავის ქვეშევრდომების სვე ბედი გააუმჯობესოს, გაუადვილოს თემიდგან გამოწერა; მისცეს ყველას სარწმუნოების თავისუფლად აღიარების ნება.

პარიჟი. „Journal des Debats“ ამბობს ხელმწიფე იმპერატორმა რომელმაც უკვე ცხადად აღნიშნა თავისი საკეთილო განწყობილება საერთაშორისო პოლიტიკაში სამშვიდობო კონფერენციის მოწვევით, ხელახლა დაამტკიცა აგრეთვე შინაურ პოლიტიკაში იგი იდეია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სიამოვნებით მივეგებოთ ამ მანიფესტს, როგორც ბედნიერების მომასწავებელს ჩვენის მოკავშირე და მეგობართა ერისა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,97½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	457½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	363¼ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	305½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	394½ წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	200 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.

განცხადება

ისყიდება

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების შენობაში

ხეხილი

ჰაჯი იზმაილ-ოღლის

ბაღიდან მოტანილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი ჱ სხვა ხეხილი ორისა და სამის წლისა. (3—43—1)

ჭიათურის საურთიერთო ბანკი ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 **მარტს**, დილის 10 საათზედ, ჭიათურის სახალხო თეატრის დარბაზში, დანიშნულია **საზოგადო ჩვეულებრივი კრება წევრთა:**

განსახილველი საგნები.

1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა.
3) 1903 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) შეცვლა წესდების ზოგიერთ §§-თა.
5) არჩევანი საბჭოს ოთხის წევრისა, ნაცვლად თ. თ. ბ. წერეთლისა, დ. ლიონიძისა, გ. გ. ჯ. იაშვილისა, ნ. წერეთლისა, გამგეობის ერთი წევრისა თ. კ. პ. თუმანიშვილისა და სარევიზიო კომისიის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (3—6—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ცრიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალისარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (40—6.—5)



„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи „Иванъ да Марья“

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისი.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6.—8)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახე'ს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის საზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სადებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ სადებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რისგუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათ სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—8)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 1 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი.